



GEORGIAN MEDICAL UNION

№ 3-11
16.09.2018

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,
ბატონ ალექსანდრე კვიციანიძეს

მოგესალმებით, რომ ა/წ აგვისტოს მოვლენებმა გამოიწვიეს დაზარალებული მოსახლეობის თბილისში კომპაქტურად ჩასახლება, ერთ-ერთი ასეთი ჩასახლებული პუნქტის, ისანი, საშხედრო ჰოსპიტალის ტერიტორიაზე 2 300-მდე დევნილი ადამიანი ცხოვრობს გაუსაძლის ანტისანიტარულ პირობებში, მათ, სამედიცინო დახმარება თავდაიხვე აღმოუჩინა პოლიონეთის სახელმწიფოდან ჩამოსული მედიკოსთა ჯგუფმა, რომელთაც ერთი კვირა იმუშავეს მათთან, შეპირდნენ მათი დანიშნული მედიკამენტების თავად, ანუ პოლიონეთის სახელმწიფოს მხრიდან ჩამოტანასაც და მართვას, მაგრამ მედიკამენტები ჯერ კიდევ არაა მათთან, ეუბნებიან თითქოს განსაბაეუბლად დგას ტერმინალზე, ასეთი სამედიცინო დახმარება უშედეგო აღმოჩნდა, ხოლო სხვა სამედიცინო დაწესებულება ზედასხედველობას არ ახორციელებს ამ დასახლებულ პუნქტზე, თავიდანვე მათ ესმარებოდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი: ჯანმრთელი სამყარო; კავკასიის ქალთა ქსელი; ინვალიდ შემართო და დაღუპულ მებრძოლთა მაუღლეთა კავშირი; კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი; ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი. ამ ორგანიზაციებმა კი მოგვმართეს ჩვენ „საქართველოს მედიკოსთა კავშირს“ თხოვნით, რომ გავგეწია სამედიცინო მომსახურება ადგილზე დასახლებულ პუნქტშივე, ეს წინადადება მივიღეთ. მოვემსახურეთ და გამოყვავით ექიმთა ბრიგადა, რომელიც სისტემატიურად

გაუწევს სამედიცინო დახმარებას ჰოსპიტალის ტერიტორიაზე ჩასახლებულ დევნილებს, ვინაიდან ვიწრო სპეციალისტის კონსულტაცია და პარაკლინიკური გამოკვლევებიცაა საქართველოში ზოგიერთი ავადმყოფისათვის მიემართეთ სწავლისკვა კლინიკებს, რომელთაც შესაბამისი კონსულტაცია და გამოკვლევები ჩაუტარეს.

გამოკვლევების და კონსულტაციების შემდეგ რა თქმა უნდა საქართა ავადმყოფის მკურნალობა, 4 ავადმყოფს ესაჭიროება ტონზილექტომია, 1 ავადმყოფ ჰიმერგლიკემიით ენდოკრინოლოგიურ სტაციონარში მკურნალობა, (შაქრის შემცველობა სისხლში 22.2), 1 ავადმყოფისათვის კი ანგიოლოგიური თპურაციაა (ქვ.კიდურზე) გასაკეთებელი, ხოლო დაახლოებით 170 დევნილს ესაჭიროება მედიკამენტოზური მკურნალობა. მოემართავთ თხოვნით:

1. რომელ კლინიკას შეიძლება მიემართოთ ტონზილექტომისათვის.
2. რომელ კლინიკას შეიძლება მიემართოთ ანგიოლოგიური თპურაციისათვის.
3. რომელ კლინიკას შეიძლება მიემართოთ ენდოკრინოლოგიური ავადმყოფის მკურნალობისათვის, ვინაიდან ის საკვები პროდუქტი რომელსაც დევნილები იღებენ; ლობოს და შაკარონი ასეთი ავადმყოფისათვის საკვებ პროდუქტთა რაციონში არ შეიძლება.
4. ვინ შეიძლება გაუწიოს მედიკამენტებით უზრუნველყოფა კონკრეტულად ამ დევნილებს.
5. მიეცით შესაბამისი უფლება ექიმ ქეთისო ჩხლაძეს (ამჟამცხ. ისანი, სამხედრო ჰოსპიტალი) გამოწეროს ფორმა №100.
6. გამოგზავნოთ სანიტარულ-ეპიდემიური სამსახურის თანამშრომლები, სადგინოეექციო სამუშაოების ჩატარებლად (ვინაიდან მძვინვარებს მუნი და სხვა ინფექციური საშიშროებაც არაა გამორიცხული).
7. უმოკლეს ვადაში დაგვიკმაყოფილოთ ეს მოთხოვნები და შევკატყობინოთ წერილობით.

მედიკოსთა კავშირის
თავჯდომარე

